

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის საერთო კრება 2022: ადგილობრივი ხელისუფლება, ორგანიზაციის წარმომადგენლები და ასოციაციის წევრები გაერთიანდნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და მდგრადობისთვის

სტრასბურგმა უმასპინძლა წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის საერთო კრებას 2022, რომელსაც ესწრებოდნენ მმართველი საბჭოსა და ასოციაციის წევრები, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების (LDAs) წარმომადგენლები.

2019 წლის შემდგომ პირველად ჩატარდა სამდღიანი პირისპირ შეხვედრა, სადაც შეიკრიბა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) ქსელი. 5 მაისიდან 7 მაისის ჩათვლით მოეწყო კონფერენციები, ტრენინგები და მრგვალი მაგიდების ფორმატის შეხვედრები. შეხვედრების კულმინაცია გახლდათ 2022 წლის 6 მაისს ALDA-ს საერთო კრება, სახელწოდებით „ადგილობრივი დემოკრატიის მშვიდობისა და მდგრადობის მხარდაჭერა“.

უფრო მეტიც, ეს სამდღიანი შეხვედრა ჩატარდა სტრასბურგის სამიტის ფარგლებში, რაც საფუძვლად დაედო ALDA-ს ჩართულობას ევროპის მომავლის კონფერენციაში.

წარმოუდგენელია აღწერო ის ამაღლებელი და ენთუზიაზმით სავსე ატმოსფერო, რომელიც შექმნა მომღიმარმა სახეებმა და სასიამოვნო საუბრებმა დიდი აღმოსავლეთის რეგიონის (Grand-Est Region) შტაბ-ბინის მთელ დარბაზში, თავშეყრის მთავარ ადგილას. მიმდინარე ომი უკრაინაში არა მხოლოდ ევროპის მომავლის კონფერენციის ძირითადი თემა იყო, არამედ კოლეგებისა და დელეგატების განხილვის საგანსაც წარმოადგენდა.

ALDA-ს პრეზიდენტმა, ბატონმა ორიანო ოტოჩანმა, სხდომის დარბაზში შეკრებილ აუდიტორიას მიმართა შეკითხვით: „ვინ იტყოდა, რომ ქალაქი უკრაინაში, სადაც ALDA-მ დააარსა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო, გახდებოდა ტერორის წინააღმდეგობის სიმბოლო?“ ვერავინ უპასუხა. ამაზე პასუხი არავის ჰქონდა. პრეზიდენტმა ოტოჩანმა გაიხსენა, რომ პირველი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები შეიქმნა ყოფილ იუგოსლავიაში ომის პერიოდის შემდეგ, როგორც ევროპის საბჭოს მხარდაჭერა მშვიდობის, ტოლერანტობისა და ადგილობრივ დონეზე საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომის დროს შესაძლებელია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება, როგორც თავად ALDA-ს ისტორიამ აჩვენა.

როგორც პრეზიდენტმა ოტოჩანმა აღნიშნა, არსებობს მშვიდობიანი პასუხი ომის დროს, რაც ნათლად აჩვენა ALDA-ს ისტორიამ, დემოკრატიისა და მდგრადობისაკენ მიმავალ გზაზე

უკრაინაში მშვიდობისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მხარდაჭერის აუცილებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა დიდი აღმოსავლეთის რეგიონულმა მრჩეველმა, საზღვრისპირა ურთიერთობის, ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის პრეზიდენტმა, ბატონმა კრისტიან დებევემ. „ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს“ ხელმძღვანელმა, ჟილ პელაიომ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ამ მძიმე

პერიოდში, „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია” წარმოადგენს სტრატეგიულ პარტნიორს სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობისას.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა, ქალბატონმა მარტინ დიშბურგ-ნიკელსმა, განაცხადა თუ როგორ არის კონგრესის და ALDA-ს ვალდებულება მომეზუნე გამოსავალი და მიიღონ გადაწყვეტილებები ამ მძიმე დროს „რომელიც ხასიათდება მრავალი კრიზისით ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში“. მათ შორის გარემოსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. **ლიდერი საფრანგეთის პრეზიდენტმა და პლიუკ-ლ'ერმიტაჟის მერმა, ბატონმა ტიბოუ გინიარმა**, პროექტის „კლიმატის ცვლილებები“ პოზიტიურ ინიციატივად მოხსენიებით, მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას თანმიმდევრული და ერთიანი ქმედებების განხორციელების აუცილებლობისკენ.

გარემო, დემოკრატია, ადამიანის უფლებები იყო იმ ინიციატივების ცენტრში, რომლებიც ALDA-მ შეიმუშავა [ევროპის მომავლის კონფერენციის](#) პლატფორმის ფარგლებში, ასევე მოუწოდა ახალგაზრდებს შეუერთდნენ ამ პლატფორმას და დაუზრუნველყონ მკაფიო მესიჯები დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. ქალბატონი ანტონელა ვალმორბიდას ძალისხმევით წყალობით, რაც ნათლად გამოჩნდა [ევროპის მომავლის კონფერენციაზე სამოქალაქო საზოგადოების კონვენციაში](#), 2021 წლის განმავლობაში ALDA ყოველთვის ცდილობდა მოესმინა ხალხისთვის და მოუწოდებდა ევროპას დაახლოებოდა თავის მოქალაქეებს.

დემოკრატიის ხელშეწყობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მისიის თანმიმდევრულად, იმ ღრმა და ძლიერი კავშირის გათვალისწინებით, რომელიც ALDA-ს აქვს თავის ქსელებთან და ითვალისწინებს უკრაინის ამჟამინდელ მდგომარეობას, 2022 წლის კრების თავმჯდომარედ დაინიშნა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო მარიუპოლის” წარმომადგენელი ქალბატონი ტეტანა ლომაკინა. ხალხთან უფრო ახლოს ყოფნა, უკრაინისადმი მხარდაჭერის გამოხატვა შეიძლება რამდენიმე გზით იყოს გაგებული და განხორციელებული. ქალბატონი ლომაკინას თავმჯდომარედ დანიშნვამ გამოხატა ასოციაციის ნება, შემდგომში მჭიდროდ ითანამშრომლოს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების კოლეგებთან და წარმომადგენლებთან უკრაინაში, რათა ერთად მოუწოდონ მშვიდობისაკენ.

შთამაგონებელი გამოსვლების მოსმენა, სხვა დაწესებულებების/ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების გამოცდილების გაზიარება იყო შესაძლებლობა აუდიტორიისთვის და სტუმრებისთვის მიეღოთ უფრო ფართო ცოდნა გარემომცველი რეალობების, ასევე შესაძლო გადაწყვეტილებების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ALDA-ს საერთო კრება, ჩვეულებისამებრ, მოიცავს უამრავ ღონისძიებას, რომლებიც წელს ფოკუსირებულია გარემოზე, პროექტის „კლიმატის ცვლილებები” ფარგლებში, ისევე როგორც უკრაინისათვის სოლიდარობის გამოხატვაზე, პროექტის „ინტეგრირებული ქალაქების ევროპული პლატფორმა” პარტნიორებთან და „ახალგაზრდა ევროპელ ფედერალისტებთან” ერთად, (JEF Europe) სტრასბურგის სამიტის ფარგლებში.

საერთო კრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

- [კლიმატის ცვლილება და ახალგაზრდების როლი](#)
- [სოლიდარობა უკრაინას](#)